

ლაბორატორიულ და კლინიკურ-დემოგრაფიულ მაჩვენებლებს შორის
ასოციაცია SARS-CoV-2

ვირუსით ინფიცირებულ პირებში

თათია ბაცანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე გამოყენებითი
გენეტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

პროგრამა- გამოყენებითი გენეტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მარი მურცხვალაძე

გიორგი კამკამიძე

თბილისი 2021

აბსტრაქტი

„გაჩერებული მსოფლიოს“ მთავარი მიზეზი SARS-CoV-2 კორონა ვირუსი 2019 წლის დეკემბრიდან ერთ-ერთ ცნობილ ვირუსად იქცა. ინფიცირების მაღალი რაოდენობის და ლეტალური შედეგის მქონე ვირუსი, საქართველოში, 2020 წლის 26 თებერვალს პირველად დაფიქსირდა. ჩვენს ქვეყანაში მკაცრი ზომების გატარებამ შეაფერხა ვირუსის გავრცელება. მთავრობა ცდილობდა დაენერგა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ (WHO) შემუშავებული რეკომენდაციები და მოსახლეობას მოუწოდებდა მის ზედმიწევნით შესრულებისკენ. თუმცა საქართველოსთვის ვირუსის გავრცელების მეორე ტალღა ზაფხულის ტურისტული სეზონის შემდეგ გარდაუვალი აღმოჩნდა. საკმაოდ მძიმე შედეგის მომტანი გახდა ტურისტების შემოდინებაც ქვეყანაში, რამაც, სამწუხაროდ საქართველო ინფიცირების მაჩვენებლით 100 000 მოსახლეზე ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია.

კვლევის მიზანია, საქართველოში ერთ-ერთი კლინიკის შპს NEOLAB მონაცემების საფუძველზე, დადგინდეს მოსახლეობის კოვიდ-ტესტირებისათვის მიმართვიანობის და მათში კორონავირუსის ტესტის თვისობრივი და რაოდენობრივი შედეგების თავისებურებები პანდემიის დინამიკის შესაბამისად.

კვლევის ამოცანებია საქართველოში დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით კოვიდ-ტესტირების შედეგების შესწავლა, ვირუსის კონცენტრაციის (რაც ფასდება qPCR Ct მაჩვენებლით) კავშირის შესწავლა სქესისა და ასაკის ცვლადებთან, ასევე განსხვავების დადგენა ვირუსის qPCR Ct მაჩვენებლების საშუალო მნიშვნელობებს შორის სიმპტომურ და ასიმპტომურ პაციენტებში.

ცალკე ამოცანას წარმოადგენს, ასევე სხვადასხვა მწარმოებლის მიერ კორონავირუსის დიაგნოსტიკისათვის მოწოდებული სადიაგნოსტიკო ნაკრების ერთმანეთთან შედარება, რომელიც SARS-CoV-2 კორონა ვირუსის დეტექციისთვის უმოკლეს დროში შეიქმნა

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სწორედ ამ დიაგნოსტიკუმების სანდოობა განსაზღვრავს პაციენტის ზუსტ და ვალიდურ დიაგნოსტიკას.

კვლევის ფარგლებში შესაძლებელი იყო კორონავირუსის ანტიგენის სწრაფი ტესტის მახასიათებლების შედარება პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (პჯრ) მეთოდთან, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სწრაფი ტესტის გამოყენების ჩვენებებთან დაკავშირებით.

მადლობა

პირველ რიგში მადლობა მინდა მოვუხადო ჩემს ხელმძღვანელს მარი მურცხვალაძეს, რომელმაც მაზიარა სამეცნიერო სამყაროს, შემასწავლა ლაბორატორია და მომცა საშუალება მეპოვა საქმე რომელიც ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მექცა. მადლობა მას რომ მომცა საშუალება ჩემთვის საინტერესო თემაზე მემუშავა და მომეწოდებინა შედეგი რომელიც ჩემს ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს. მადლობა გაწეული დახმარებისთვის და თანადგომისთვის.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს თანახელმძღვანელ ბატონ გიორგი კამკამიძეს. მადლობა მას კვლევის დაგეგმვისთვის, კონცეფციის შემუშავებაში დახმარებისთვის, მონაცემთა ბაზაზე წვდომისთვის და სტატისტიკურ ანალიზში დახმარებისთვის. ძალიან დიდი მადლობა მას თანადგომისთვის.